პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

რეკომენდაციები მონაცემთა ბაღაფანის უფლების შესახებ

www.pdps.ge

რეკომენდაციები ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

შინაარსი

შესავალი 2

1. მონაცემთა გადატანის საკანონმდებლო მოწესრიგება 2

1.1. მარეგულირებელი ნორმა 2

1.2. შედარება ევროპის კავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციასთან“ ... 3

2. მონაცემთა გადატანის მიზანი 4

3. მონაცემთა გადატანის უფლების სუბიექტები 4

4. მონაცემთა გადატანის უფლების ძირითადი კომპონენტები 5

4.1. ორგანიზაციულ-ტექნიკური ასპექტები 5

4.2. აშკარად გამოხატული ნება 7

4.3. დაბრკოლების არარსებობა 8

4.4. უფლების შეზღუდვა 8

5. მონაცემთა გადატანის უფლების თავსებადობა მონაცემთა სუბიექტის სხვა უფლებებთან და ძირითადი განსხვავება 9

6. მონაცემთა გადატანის მოთხოვნაზე რეაგირება 10

6.1. მონაცემთა დამუშავების ზოგადი ნორმების მიმართება მონაცემთა გადატანის უფლებასთან 10

6.2. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობები, მონაცემთა გადატანის პროცედურა და ფორმატი 11

7. სამართალდარღვევის საქმისწარმოება 12

შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა გადატანის (პორტირების) უფლებას, რომელიც შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, მონაცემთა სუბიექტს უფლებამოსილს ხდის, რომ მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

გზამკვლევის მიზანია მონაცემთა გადატანის უფლების მიმოხილვა, მისი განხორციელებისა და მასზე რეაგირების შეფასება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მნიშვნელობის ახსნა მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა მიმღები: დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის.

1. მონაცემთა გადატანის საკანონმდებლო მოწესრიგება

1.1. მარეგულირებელი ნორმა

მონაცემთა გადატანის უფლება ერთ-ერთია იმ სიახლეთა შორის, რომელსაც კანონი განსაზღვრავს და ამკვიდრებს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სამართლებრივ სტანდარტს.[1] კანონის მესამე თავი ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს მონაცემთა გადატანის, სხვა სიტყვებით კი პორტირების უფლება.

კანონის მე-18 მუხლის თანახმად: ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა[2] და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით[3] გათვალისწინებული საფუძვლებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის

[1] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდება 2024 წლის პირველი მარტიდან, ხოლო დებულებები მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების (მუხლი 31), მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ (მუხლი 32), 2024 წლის პირველი ივნისიდან.

[2] მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, იგულისხმება მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მის შესახებ ერთ ან რამდენიმე მონაცემის კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე და მონაცემთა დამუშავება, რომელიც აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მისი მოთხოვნით გარიგების დასადებად.

[3] იგულისხმება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვას შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიებით და სახეზეა ამგვარი კატეგორიის მონაცემის დამუშავების საფუძველი მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის სახით.

მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

1.2. შედარება ევროპის კავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციასთან“

2016 წლის 27 აპრილს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული იქნა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ 2016/679 (GDPR), რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისიდან. რეგულაციით დადგინდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი სტანდარტები და მნიშვნელოვანი ცნებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით.

მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,[4] მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისგან სტრუქტურიზებულად, გამოყენებადი და ელექტრონული ფორმით მიიღოს ის მონაცემები, რომლებიც თავადვე მიაწოდა მას, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადაიტანოს აღნიშნული მონაცემები სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან, თუ მონაცემთა დამუშავების საფუძველს წარმოადგენს:

- მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ერთი ან მეტი კონკრეტული მიზნისათვის;
- მონაცემთა სუბიექტის ნათლად გამოხატული თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წევრი სახელმწიფოს კანონის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი ვერ ეწინააღმდეგება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების აკრძალვას;
- მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა მონაცემთა სუბიექტის მიერ დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან სუბიექტის თხოვნით ხელშეკრულების გაფორმებამდე გარკვეული ზომების მისაღებად.

მონაცემთა გადატანის უფლება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დამუშავება ეფუძნება სხვა რომელიმე სამართლებრივ საფუძველს, გარდა მონაცემთა სუბიექტის თანხმობისა და ხელშეკრულებისა.[5]

აღნიშნულ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას მონაცემთა გადატანის უფლების განხორციელების ფარგლებში, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მეორისათვის პირდაპირი გადაცემა, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, შეიმუშაოს ის

[4] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).

[5] Guidelines on the Right to Data Portability, Article 29 of Directive 95/46/EC Working Party, 2016.

თავსებადი ფორმატები, რომლებიც მონაცემთა გადატანას გახდის ტექნიკურად შესაძლებელს. ზოგადი მოთხოვნა ამ ფორმატების შესახებ, შეიძლება დაკონკრეტდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი სამუშაო ფორმატის შემუშავებით.

მონაცემთა გადატანის უფლების განხორციელება ეყრდნობა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-17 მუხლის, კერძოდ, მონაცემთა წაშლის უფლების გათვალისწინებით. მონაცემთა გადატანის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ფუნქციების, ამოცანების შესასრულებლად ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. ამ უფლების განხორციელებამ არ უნდა დააზიანოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.[6]

2. მონაცემთა გადატანის მიზანი

მონაცემთა გადატანის უფლების მიზანი მონაცემთა სუბიექტის უფლებრივი გაძლიერებაა, რათა მას ჰქონდეს წვდომა მის მიერვე გაცემულ მონაცემზე, აკონტროლოს და მოითხოვოს მასთან დაკავშირებული ელექტრონული პერსონალური მონაცემები, გაუმარტივდეს მონაცემების მართვა და გადაცემა.[7] კანონში აღნიშნული უფლების რეგლამენტაცია შესაძლებელს ხდის მის შედარებას სხვა უფლებებთან თავსებადობის თვალსაზრისით. რამდენადაც მონაცემთა გადატანის უფლება განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა ასლის შექმნასა და გადატანას მარტივად ერთი ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სივრციდან სხვა სივრცეში, აღნიშნული უფლება წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად მონაცემთა თავისუფალ მიმოქცევას. ასევე, ამარტივებს ერთი მომსახურების მეორით ჩანაცვლებას და აუმჯობესებს ახალი მომსახურების განვითარებას.

3. მონაცემთა გადატანის უფლების სუბიექტები

მონაცემთა გადატანის უფლების სუბიექტები არიან მონაცემთა სუბიექტი და მონაცემთა მიმღები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი სულ მცირე ორი პირი: პირველი, რომელსაც მიემართება მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა, რომ მონაცემები გადასცეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს. ასევე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა შეიძლება განსაზღვრონ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებსაც დაევალებათ აღნიშნული მოქმედების განხორციელება.

---

[6] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU)2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების მიმოცვლის შესახებ“, მე-20 მუხლი.

[7] Information Commissioner's Office (ICO), Right to Data Portability, <https://ico.org.uk/> [02.02.2024].

მონაცემთა გადატანის მოთხოვნის უფლების მქონეა ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება (მონაცემთა სუბიექტი). მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობა შეიძლება, გაიცეს მის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნებით.

მონაცემთა მიმღები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავება.

მონაცემთა მიმღები დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი.

მონაცემთა სუბიექტების უფლებებსა და მათთან დაკავშირებულ მონაცემებზე კონტროლის უფლების განმტკიცებით, მონაცემთა გადატანის უფლება მონაცემთა სუბიექტსა და მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ბალანსის ფუნქციას ასრულებს.[8] ის რაც მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაა, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას წარმოადგენს და პირიქით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის უფლება შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვას ან დამაბრკოლებელი გარემოების არსებობას გულისხმობდეს.

4. მონაცემთა გადატანის უფლების ძირითადი კომპონენტები

4.1. ორგანიზაციულ-ტექნიკური ასპექტები

მონაცემთა სუბიექტს, ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება,[9] აქვს:

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;
- მონაცემთა დაბლოკვის უფლება;

[8] Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey, The EU General Data Protection Regulation: a Commentary, Oxford University Press, 2021, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3839645> [02.02.2024].

[9] კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.

- მონაცემთა გადატანის უფლება;
- ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებები;
- თანხმობის გამოხმობის უფლება;
- გასაჩივრების უფლება.

მონაცემთა გადატანის უფლებას დაქვემდებარებულია ავტომატურად დამუშავებული მონაცემი:

- რომელზეც მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- რომლის დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- როდესაც მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე.

ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ან მასთან დადებული გარიგების საფუძველზე დამუშავებადია:

- პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.

აღნიშნული მონაცემები უნდა მუშავდებოდეს მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ შემთხვევაში მონაცემების დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან
- ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

მაგალითი

ბელგიის კერძო კლინიკის პაციენტი, რომელიც გერმანიის სხვა კლინიკაში გადადის სამკურნალოდ, სთხოვს ბელგიურ კლინიკას, რომ გერმანულ კლინიკას მიაწოდოს ელექტრონული ფაილები - პაციენტის პერსონალური მონაცემები სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით. პაციენტის მითითებით ბელგიურმა კლინიკამ გერმანულ კლინიკას უნდა მიაწოდოს პერსონალური მონაცემები საყოველთაოდ გამოყენებად ღია ფორმატში (მაგ. XML, JSON, CSV და ა.შ.). მონაცემთა ფორმატის შერჩევისას, ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, თუ იმოქმედებს ეს ფორმატი ელექტრონული მონაცემების კვლავ გამოყენებისას. მაგალითად, ელექტრონული ჩანაწერების PDF ვერსიების მიწოდება შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემები ხელახლა გამოიყენებოდეს.[10]

4.2. აშკარად გამოხატული ნება

მონაცემთა სუბიექტის უფლებათა შინაარსი განპირობებულია მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების იმ მასშტაბით, რა ფორმითაც მუშავდება მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემი. რაც თანხვედრაშია კანონის მიზანთან, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა.[11]

მონაცემთა გადატანა, როგორც მონაცემთა სუბიექტის ექსკლუზიური უფლება გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის შესაძლებლობას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვოს მასთან დაკავშირებული მონაცემების მიღება ან მიმოცვლა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შორის. მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატული ნება მონაცემთა გადატანის უფლების წინაპირობაა, რომელსაც სჭირდება შემხვედრი გარემოებები უფლებით დასახული მიზნის მისაღწევად.

მაგალითი

მონაცემთა სუბიექტის მიერ ონლაინ მაღაზიიდან შეძენილი წიგნებისა ან ონლაინ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების სათაურები წარმოადგენს პერსონალურ

[10] European Commission, Can individuals ask to have their data transferred to another organisation? Rules for business and organisations / Dealing with citizens, <https://commission.europa.eu/index_en> [5.02.2024].

[11] კანონის პირველი მუხლი.

მონაცემებს, რომლებიც ექცევიან მონაცემთა გადატანის უფლების გავრცელების ფარგლებში, რადგან ისინი მუშავდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის, რომელზეც მონაცემთა სუბიექტმა ხელშეკრულების გაფორმებისას გამოხატა თანხმობა და ამავე ხელშეკრულების მხარეა.[12]

4.3. დაბრკოლების არარსებობა

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია:

- ტექნიკურად შესაძლებელი იყოს ავტომატურად დამუშავებული მონაცემის გაცემა;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით იქნეს მიღებული აღნიშნული ინფორმაცია.

მონაცემთა გადაცემის ტექნიკური შესაძლებლობა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ერთი პირისგან დამუშავებისთვის პასუხისმგებელ მეორე პირთან, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ტექნიკური შესაძლებლობა შეიძლება გამოიხატოს მონაცემთა მთელი ნაკრების პირდაპირ გადაცემაში ან ავტომატური საშუალებით, შესაბამისი მონაცემის დახარისხებასა და გადაცემაში. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით ინფორმაციის გაცემა გულისხმობს მონაცემის იმგვარად გადატანას, რომ სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირმა შეძლოს მისი აღქმა და ინტეგრირება დამუშავების მიზნებისთვის.[13]

მაგალითი

მონაცემთა გადატანის მოთხოვნის ფარგლებში შეიძლება მოექცეს მხოლოდ პერსონალური მონაცემი. შესაბამისად, ნებისმიერი მონაცემი, რომელიც არის ანონიმური ან არ შეეხება მონაცემთა სუბიექტს, ვერ მოექცევა უფლების ფარგლებში, თუმცა, ფსევდონიმიზებული მონაცემი, რომელიც მკაფიოდ შეიძლება დაუკავშირდეს მონაცემთა სუბიექტს მოექცევა ამ უფლების ფარგლებში.[14]

4.4. უფლების შეზღუდვა

მონაცემთა გადატანის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობებია: დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის მონაცემთა სუბიექტის მიერ მიწოდებული მონაცემების მიღება ან მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის

[12] Guidelines on the Right to Data Portability, Article 29 of Directive 95/46/EC Working Party, 2016.
[13] Guidelines on the Right to Data Portability, Article 29 of Directive 95/46/EC Working Party, 2016.
[14] Guidelines on the Right to Data Portability, Article 29 of Directive 95/46/EC Working Party, 2016.

პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა. მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატული ნება არ არის საკმარისი უფლებით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს ტექნიკურად შეუძლებელია. ამ უფლების განხორციელება არ გამორიცხავს მონაცემთა სუბიექტის სხვა რომელიმე უფლების განხორციელების შესაძლებლობასა და საჭიროებას.

კანონში მონაცემთა გადატანის უფლების გათვალისწინება განპირობებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების, საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების საჭიროებით.[15]

მაგალითი

პოტენციური რისკი ვერ იქნება თავისთავად მონაცემთა გადატანის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ გადასცენ სუბიექტის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები იმგვარი ფორმით რომელიც არ გამოიწვევს ინტელექტუალური საკუთრებით ან სავაჭრო საიდუმლოებით დაცული ინფორმაციის გაცემას.[16]

5. მონაცემთა გადატანის უფლების თავსებადობა მონაცემთა სუბიექტის სხვა უფლებებთან და ძირითადი განსხვავება

მონაცემთა გადატანის უფლების შესაძლო თავსებადობა სხვა უფლებებთან გამოხატულია შედეგის მიღწევის ალტერნატივების არსებობაში, თუმცა თითოეული უფლების გარანტიები განსხვავებული სამართლებრივი მნიშვნელობისაა — ცალკეულ შემთხვევაში, ავსებს ერთმანეთს და მიჯნავს ერთ უფლებას მეორისგან.

მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებით მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.[17]

მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლებით მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს აღნიშნული მონაცემების

[15] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რეგისტრაციის №07-3/313/7.
[16] Guidelines on the Right to Data Portability, Article 29 of Directive 95/46/EC Working Party, 2016.
[17] კანონის მე-13 მუხლი.

ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური ანდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო.[18]

მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლებით მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება).[19]

თანხმობის გამოხმობის უფლებით მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.[20]

მონაცემთა გადატანის უფლება ამარტივებს მონაცემთა სუბიექტის წვდომას მისსავე პერსონალურ მონაცემზე. იგი მონაცემთა სუბიექტს სთავაზობს ეფექტიან საშუალებას მონაცემთა სამართავად და ხელახლა გამოსაყენებლად, რათა მიიღოს მონაცემები სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით. ამიტომ, აღნიშნული უფლების განხორციელება შესაძლებელია, როგორც დამოუკიდებლად ასევე, კანონის მესამე თავით განსაზღვრულ სხვა უფლებებთან ერთად.

6. მონაცემთა გადატანის მოთხოვნაზე რეაგირება

6.1. მონაცემთა დამუშავების ზოგადი ნორმების მიმართება მონაცემთა გადატანის უფლებასთან

მონაცემთა გადატანის უფლების ძირითადი ელემენტია პერსონალური მონაცემების მიღებისა და გადაცემის მოთხოვნა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ერთი პირიდან მეორისთვის და მონაცემთა დამუშავების კონტროლი. თითოეულ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მონაცემთა გადატანის მოთხოვნაზე რეაგირებას, რამდენად უსაფრთხო, ეფექტური, დროული და შესაძლებელი იქნება მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

[18] კანონის მე-14 მუხლი.
[19] კანონის მე-16 მუხლი.
[20] კანონის მე-20 მუხლი.

მონაცემთა გადატანის უფლება გამოხატავს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შორის, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დაბრკოლების გარეშე მონაცემთა მიმოცვლას. მონაცემები შეიძლება, გადაეცეს უშუალოდ პასუხისმგებელი პირისგან სხვას, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით და იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ტექნიკურად შესაძლებელია. ამიტომ, მიზანშეწონილია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშაონ მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭირო და თავსებადი ფორმატები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა გადატანას, ტექნიკურად თავსებადი დამუშავების სისტემების დანერგვის ან შენარჩუნების ვალდებულების წარმოშობის გარეშე.

მონაცემთა გადატანის უფლება უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების მიღებისა და მათი დამუშავების უფლებას მონაცემთა სუბიექტის სურვილის შესაბამისად. კანონის ზოგადი მოთხოვნის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა ამ კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად და შეძლოს მონაცემთა დამუშავების ამ კანონთან შესაბამისობის დადასტურება.[21] ასევე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის) აღრიცხვა.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც განიხილავენ მონაცემთა გადატანის მოთხოვნებს, არ არიან პასუხისმგებელნი მონაცემთა სუბიექტის ან პერსონალური მონაცემების მიმღები სხვა პირების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე. ისინი მონაცემთა სუბიექტის სახელით მოქმედებენ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მონაცემები პირდაპირ გადაეცემა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მიმღები პირის მიერ განხორციელებული დამუშავების მოქმედებების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

6.2. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობები, მონაცემთა გადატანის პროცედურა და ფორმატი

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნისა და დამაბრკოლებელი გარემოებების გამორიცხვის საფუძველზე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დადგენილი წესით უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის კანონის მესამე თავით განსაზღვრული უფლებების განხორციელება, მათ შორის, მიიღოს

[21] კანონის 27-ე მუხლი.

ყველა ზომა ამავე კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის და საჭიროების შემთხვევაში, მათი დემონსტრირების მიზნით. აღნიშნული ვალდებულებები ვრცელდება აგრეთვე დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს პროცედურები, სიზუსტისა და ნამდვილობისთვის, რომლითაც უზრუნველყოფს მონაცემების გადატანას იმ შინაარსითა და ფორმით, რა სახითაც მათი გადაცემა სურს მონაცემთა სუბიექტს. ეს შეიძლება, განხორციელდეს მონაცემთა გადაცემამდე მონაცემთა სუბიექტისგან დადასტურების გარანტიების მოპოვებით. უსაფრთხოების ზომები არ უნდა იყოს ბუნდოვანი და არ უნდა უშლიდეს ხელს სუბიექტებს საკუთარი უფლებების განხორციელებაში, მაგალითად, დამატებითი საფასურის დაწესებით.

კანონის ამოქმედებასთან ერთად, სასურველია დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა განავითარონ ისეთი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა გადატანის მოთხოვნათა ეფექტიან, დროულ და უსაფრთხო დაკმაყოფილებას, მათ შორის, დანერგონ ინფორმაციის გადმოწერის, შენახვის, გაზიარების პროგრამები. დარწმუნდნენ, რომ მონაცემები გადატანილია სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით.

7. სამართალდარღვევის საქმისწარმოება

კანონის 72-ე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მესამე თავით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევისთვის.

მესამე თავით (გარდა 22-ე მუხლისა) გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის რომელიმე უფლების დარღვევა გამოიწვევს:

- ფიზიკური პირის, საჯარო დაწესებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, აგრეთვე იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს არ აღემატება, გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;
- იურიდიული პირის (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა), უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს აღემატება, გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

მესამე თავით (გარდა 22-ე მუხლისა) გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის ორი ან ორზე მეტი უფლების დარღვევა გამოიწვევს:

- ფიზიკური პირის, საჯარო დაწესებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, აგრეთვე იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის საწარმოს

ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს არ აღემატება, გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;
- იურიდიული პირის (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა), უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს აღემატება, გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

მესამე თავით (გარდა 22-ე მუხლისა) გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის რომელიმე უფლების დარღვევა, ჩადენილი დამამძიმებელი გარემოების (გარემოებების) არსებობისას, გამოიწვევს:

- ფიზიკური პირის, საჯარო დაწესებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, აგრეთვე იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს არ აღემატება, დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით;
- იურიდიული პირის (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა), უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს აღემატება, დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

მესამე თავით (გარდა 22-ე მუხლისა) გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის ორი ან ორზე მეტი უფლების დარღვევა, ჩადენილი დამამძიმებელი გარემოების (გარემოებების) არსებობისას, გამოიწვევს:

- ფიზიკური პირის, საჯარო დაწესებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, აგრეთვე იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს არ აღემატება, დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით;
- იურიდიული პირის (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა), უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს აღემატება, დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge